სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

28 / აპრილი / 2025 წ.

KA021755948164125

№ **1/1-2279**

ბრძანება

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, აბულ-სამსარის მასივში მდებარე 3990001 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით იჯარის უფლებით გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 36-ე მუხლის პირველი და პირველი პრიმა პუნქტების შესაბამისად, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას საპრივატიზებო შემოსულობისა და იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აუქციონის ფორმით პრივატიზებისას მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო თანხის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით დამტკიცების და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (რომელიც არ ექვემდებარება პრივატიზებას) აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემის წლიური საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის №15 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №393 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილების, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის N497 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №1-1/1835 ბრძანებისა და სსიპ - მიწის მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს 11.04.2025 წლის N706/02 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, აბულ-სამსარის მდებარე 3990001 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ნივთის) საკადასტრო კოდი: 65.01.31.039) იჯარის უფლებით გადაცემა განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის N497 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული პირობებით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) წლის ვადით.

2. საწყის წლიურ საიჯარო ქირად დადგინდეს 5986 ლარი.

3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს ოდენობა განისაზღვროს 1800 ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა - 15 ლარით

4. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ნივთის სარგებლობაში გადაცემის პირობებად განისაზღვროს:

ა) წლიური საიჯარო ქირის გადახდა აუქციონის დასრულებიდან 50 კალენდარული დღის ვადაში და შემდგომში ყოველწლიურად

ბ) ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ნივთის გამოყენება მხოლოდ დანიშნულებისამებრ – პირუტყვის (მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა) ძოვების მიზნით და მიღებული საძოვრის მოვლა-პატრონობა. მოიჯარემ არ უნდა დაუშვას საძოვარზე შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მეტი რაოდენობის, ასევე, სხვა პირის სახელზე რეგისტრირებული პირუტყვის ძოვება. ამასთან, ძოვება უნდა განხორციელდეს ადგილმონაცვლეობის პრინციპის დაცვით;

გ) ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ნივთზე მხოლოდ პროგრამაში ჩართული პირუტყვისა და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის N497 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული კენტჩლიქოსანი ცხოველის ძოვება;

დ) მოიჯარემ არ უნდა დაუშვას ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ნივთისა და მიმდებარედ არსებული წყლის ობიექტების (წყაროები, მდინარეები და ა.შ.) დაბინძურება მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის გაპარსვის ან/და დაკვლის შედეგად მიღებული ნარჩენებისაგან;

ე) „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის N497 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირუტყვის რაოდენობის ან/და საიდენტიფიკაციო ნომრების ცვლილებასთან დაკავშირებით, შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს ინფორმირება. აღნიშნული ინფორმაციის წარდგენა შესაძლებელია ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით (info@land.gov.ge).

5. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის N497 დადგენილებით დამტკიცებულ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე პირებს.

6. დამტკიცდეს საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება (დანართი N1) და დაევალოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონით დადგენილი წესით.

7. საიჯარო ქონება განისაზღვროს სახელმწიფო მნიშვნელობის ქონებად.

8. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ირაკლი შენგელია